



კეიტ დაგლას უიგინი

რეზიკა ფერმა „მზიანი ნაკალულიდან“

Kate douglas Wiggin

REBECCA OF SUNNYBROOK FARM

მთარგმნელი: ია კოროშინაძე

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ზაზარაშვილი

რედაქტორი: ლალი ქადაგიძე

ილუსტრატორი: ზიზი ნიშნიანიძე

სერიის დიზაინერი: დავით ჯანიაშვილი

დამკაბადონებელი: ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-899-9

www.diogene.ge

კეიტ დავლას უიგინი

რებეკა

ფორმა „მზიანი ნაკადულიდან“



დედაჩემს

მისი თვალები – კუნაპეტში ვარსკვლავთა სხივი
და ლამის კუპრი ჩამოღვრია ხშირი თმის ტევრსაც,
მაგრამ გაზაფხულს შეუმკია ხალისით დილის,
მაისის ხიბლით აუვსია მისი არსება –
აცეკვებული, მხიარული ხატება სხივის,
ასადევნებლად, გასაოცრად, გზის გასაკვლევად.
უორდზუორთი¹

¹ უილიამ უორდზუორთი – ინგლისელი პოეტი (1770 – 1850).

სარჩევი

1.	„შვიდნი ვართ“	9
2.	რებეკას ნათესავები	33
3.	განსხვავებული გულები	43
4.	რებეკას თვალთახედვით	57
5.	სიბრძნის გზები	65
6.	მზის სხივი წყვდიადში	82
7.	რივერბოროს საიდუმლოებანი	94
8.	ვარდისფერი	105
9.	ვარდის ეკლები.....	114
10.	ცისარტყელას ხიდები	125
11.	ძალთა გამოღვიძება	136
12.	„შეხედე გაფითრებულ მონამეს“	146
13.	ქათქათა და ალისფერი	162
14.	მისტერ ალადინი	173
15.	სადღესასწაულო ლამპა	184
16.	ზრდის ხანა	196
17.	რუხი დღეები და ოქრო	211
18.	რებეკა ოჯახს წარადგენს.....	222
19.	დიაკვან ისრაელის მემკვიდრე	235
20.	გადასხვაფერება	247
21.	თვალსაწიერი ფართოვდება.....	259
22.	სამეყურას ყვავილები და მზესუმზირები	275
23.	მძიმე განსაცდელი.....	293
24.	ალადინი თავის ლამპარს აპრიალებს.....	303
25.	სიხარულის ვარდები.....	316
26.	„ფინჯან ჩაისთან“	332
27.	ბრწყინვალე სანახაობა	344
28.	„გარდაუვალი უღელი“	358
29.	დედა და ქალიშვილი.....	373
30.	მშვიდობით, „მზიანო ნაკადულო“	384
31.	დეიდა მირანდას ბოდიში	393

თავი პირველი „შვიდნი ვართ“

ძველი საფოსტო დილიჟანსი¹ მეიპლფუდიდან რივერ-ბოროსკენ მიმავალ მტვრიან გზაზე მირახრახებდა. მაისის შუა რიცხვებში ზაფხულის ხვატი იდგა და მისტერ ჯერი-მაია კობი, რადგან მხოლოდ ფოსტა მიჰქონდა, ცხენებს შეძლებისდაგვარად ზოგავდა. აღმართ-დაღმართი მრავლად ჰქონდა გასავლელი, ამიტომ სადავე მოუშვა, კოფოზე გადაწვა და ცალი ფეხი სიამოვნებით შემოდო დილიჟანსის ფარზე. გაცვეთილი ფეტრის ფარფლიანი ქუდი თვალებზე ჩამოფხატოდა, ყბის მარცხენა მხარეს კი ენით საღეჭ თამბაქოს ატრიალებდა.

დილიჟანსში ერთადერთი მგზავრი იჯდა – პატარა შავ-თმიანი არსება, რომელსაც მოყვითალო-მოყავისფრო ჩითის კაბა ეცვა. გოგონა იმდენად სიფრიფანა იყო, კაბა კი

¹ დილიჟანსი – მრავალადგილიანი დახურული ეტლი მგზავრების გადასაყვანად და ფოსტის გადასაზიდად.

ისე გახამებული, რომ ტყავის ბალიშებზე აქეთ-იქით დასრიალებდა, მიუხედავად იმისა, რომ თავს მოპირდაპირე დასაჯდომის შუაში მიბჯენილი ფეხით იმაგრებდა და წონასწორობის დასაცავად ნაჭრის ხელთათმნიან ხელებსაც შლიდა. რამდენჯერაც დილიჯანსის ბორბალი თვლების ნაკვალევში ჩვეულებრივზე ღრმად ეფლობოდა ან უცაბედად ქვაზე იწყებდა ჯაყჯაყს, გოგონა უნებლიეთ ჰაერში ხტებოდა, ისევ დასაჯდომზე ენარცხებოდა და ჩალის პატარა, სასაცილო ქუდი უკან უვარდებოდა. ისიც ქუდს დასწვდებოდა ან უფრო საიმედოდ მოიდებდა გვერდით პატარა ვარდისფერ ქოლგას, რომელიც, ეტყობოდა, მისი უმთავრესი საზრუნავი უნდა ყოფილიყო... თუ არ ჩავთვლით იმ მძივებიან საფულეს, რომელშიც, გზის მდგომარეობა შესაძლებლობას მისცემდა თუ არა, მაშინვე იხედებოდა და აშკარა კმაყოფილებას განიცდიდა, რომ მისი განძი არც სადმე გამქრალიყო და არც რამე მოჰკლებოდა. მისტერ კობმა მგზავრობის მომქანცველ წვრილმანებზე არაფერი იცოდა. მისი საქმე მგზავრების მხოლოდ დანიშნულების ადგილამდე მიყვანა იყო, რაც გზაში მათთვის მოხერხებული პირობების შექმნის აუცილებლობას არ ავალდებულებდა. სინამდვილეში მას იმ უმნიშვნელო პატარა მგზავრის არსებობაც კი დავინწყებოდა.

დილით, ის იყო, მეიპლვუდიდან უნდა დაძრულიყო, რომ ოთხთვალადან გადმოსული ქალი მიუახლოვდა და

ჰკითხა, დილიჟანსი რივერბოროსი იყო თუ არა და მისტერ კობი ის თუ ბრძანდებოდა. დადებითი პასუხი რომ მიიღო, ქალმა თავი იმ ბავშვის მიმართულებით დაიქნია, რომელიც ნიშანს გაფაციცებით ელოდა და მისკენ ისე გამოიქცა, თითქოს შიშობდა, წუთით არ დაგვიანებოდა. გოგონა ათი-თერთმეტი წლის იქნებოდა, მაგრამ რამდენისაც უნდა ყოფილიყო, თავის წლოვანებაზე უმცროსს ჰგავდა. დედა მას დილიჟანსში ასვლაში დაეხმარა, გვერდით ფუთა და იასამნების თაიგული მოუწყო და ეტლის უკან ტყავის ძველებური სკივრის თოკებით მიბმასაც რომ ადევნა თვალი, რუდუნებით გადათვლილი ვერცხლის მონეტებით მგზავრობის საფასური გადაიხადა.

– მინდა, ჩემს დებთან ჩაიყვანოთ, რივერბოროში, – თქვა მან. – მირანდა და ჯეინ სოიერებს თუ იცნობთ? აგურის სახლში ცხოვრობენ.

ღმერთია მონმე, ისე კარგად იცნობდა, თითქოს ერთი გვარისები ყოფილიყვნენ!

– ასე რომ, აგურის სახლში მიემგზავრება და ისინიც ელიან. გთხოვთ, ბავშვზე თვალი გეჭიროთ. შესაძლებლობა თუ მიეცემა, რომ დილიჟანსიდან სადმე ჩამოვიდეს და ხალხი გაიცნოს ან ვინმე დაიმგზავროს, ამას აუცილებლად გააკეთებს. ნახვამდის, რებეკა. ეცადე, არ იცეკლო და წყნარად იჯდე, რომ ჩასვლისას კოპნიად და ლამაზად გამოიყურებოდე. მისტერ კობისთვის უსიამოვნებად ნუ

გადაიქცევი. იცით, როგორღაც აფორიაქებულია. გუშინ ტემპერანსიდან მატარებლით ჩამოვედით, ღამე ჩემი ბიძაშვილის ოჯახში გავათიეთ, ამ დღით კი რვა მილი მისი სახლიდან ოთხთვალათი გამოვიარეთ.

– ნახვამდის, დედა. ნუ ნუხხარ, ხომ იცი, რომ პირველად არ ვმოგზაურობ.

ქალმა დამცინავად ჩაიღიმა და მისტერ კობს განუმარტა:

– უეირპემშია ნამყოფი ერთი ღამით; მოგზაურობით თავის მოსაწონებლად არ გამოდგება.

– ის ნამდვილი მოგზაურობა იყო, დედა! – მოუთმენლად და მტკიცედ თქვა ბავშვმა. – ფერმა დავტოვეთ, საუზმით სავსე კალათი გავიყოლეთ, ცოტა ხანს ცხენებით ვიარეთ და ცოტაც – ორთქლმავლით და საღამურები გვექონდა წალეხული.

– თუნდაც ასე მოვქცეულიყავით, არ ღირს, მთელ სოფელს მოსდო ეს ამბავი, – გაანწყვეტინა დედამ მოგონებები გამოცდილ მოგზაურს. – ხომ გაგაფრთხილე, საღამურებზე, წინდებზე და... მსგავს რამეებზე ხმამაღლა და, მით უფრო, კაცების თანდასწრებით არ ილაპარაკო-მეთქი? – ნასჩურჩულა ქალმა და ბოლოჯერ სცადა, ზრდილობისკენ მოეწოდებინა გოგონასთვის.

– ვიცი, დედა, ვიცი და ამას არ გავაკეთებ. მხოლოდ იმის თქმა მინდა... – აქ მისტერ კობმა პირი გაანკლაპუნა, სადავე გაატყლაშუნა და ცხენებიც ყოველდღიური მო-

ვალეობის შესასრულებლად უხალისოდ ამოძრავდნენ, – მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მოგზაურობაა, როდესაც... – დილიჯანსი დაძრული იყო და სათქმელის დასასრულებლად რებეკა იძულებული გახდა, თავი კარში გამოჭრილი ფანჯრიდან გაეყო, – მოგზაურობაა, როდესაც თან საღამური მიგაქვს!

მაღალი წკრიალა ხმით წამოყვირებულმა საძრახისმა სიტყვამ მეორედ შეურაცხყო მისის რენდოლის სმენა. მან დილიჯანსი მზერით გააცილა, შემდეგ სკამიდან თავისი ფუთები წამოკრიფა და ცხენსაბმელთან მდგარ ოთხთვალაში ავიდა. ცხენი სახლისკენ რომ გაატრიალა, ქალი წუთით წამოიმართა, თვალები ხელით მოიჩრდილა და შორს ადენილ მტვრის ბოლქვებს გახედა.

„მირანდას ალბათ საქმე თავზე საყრელად ექნება, – გაიფიქრა მან, – მაგრამ არ გამიკვირდება, რომ შეძლოს და რებეკა ადამიანად აქციოს“.

მომდევნო ნახევარი საათის განმავლობაში მზემ, სიცხემ, მტვერმა და დიდ, საქმიან მილტაუნში შესასრულებელ დავალებებზე ფიქრმა მისტერ კობის ისედაც ზანტი გონება საბოლოოდ მოადუნა და რებეკას მეთვალყურეობაზე მიცემული პირობა სრულებით გადაავიწყა.

მოულოდნელად მისტერ კობს თვლების რახრახსა და ცხენის აღკაზმულობის ჭრაჭუნში სუსტი ხმა მოესმა. თავიდან ჭრიჭინა, ხის გომბეშო ან ჩიტი ეგონა, მაგრამ ხმის

მიმართულება რომ განსაზღვრა, მხარს უკან გაიხედა და პატარა სილუეტი დაინახა, რომელიც ფანჯრიდან იმდენად გადახრილიყო, რამდენის შესაძლებლობასაც უსაფრთხოების გათვალისწინება ავალდებულებდა. მისი გრძელი შავი ნაწნავი ეტლის სვლის რიტმში ქანაობდა. ბავშვს ცალ ხელში ქუდი ეჭირა, მეორეში მომარჯვებული პანანინა ქოლგის წვერით კი უშედეგოდ ცდილობდა, მეეტლეს მისწვდომოდა.

– თუ შეიძლება, რალაცის თქმა მინდა! – გამოსძახა მან. მისტერ კობმა ცხენები მორჩილად შეაჩერა.

– მანდ, თქვენ გვერდით, მგზავრობა უფრო ძვირი ღირს? – იკითხა გოგონამ. – აქ დასაჯდომი ისეთი სრიალა და გაპრიალებულია, თანაც ჩემთვის ადგილი იმხელაა, რომ აქეთ-იქით მიხეთქებისგან მთლად დავლურჯდები. ფანჯრებიც მეტისმეტად პატარაა და ყველაფერს მხოლოდ ნაწილობრივ ვხედავ. სკივრს როცა გავყურებ, ხომ არ გადავარდა-მეთქი, კისერი ისე მიგრძელდება, ლამის მომტყდეს. დედაჩემის სკივრია და ძალიან უფრთხილდება.

მისტერ კობმა შეიცადა, ვიდრე სიტყვების ნაკადი, უფრო სწორად, უკმაყოფილო შენიშვნების ღვარი ჩაცხრებოდა და მხიარულად მიუგო:

– თუ ასე გინდა, შეგიძლია ამოხვიდე; ჩემ გვერდით დაჯდომას დამატებითი საფასური არ სჭირდება.

მან ბავშვი ეტლიდან ჩამოსვა, კოფოზე ასასვლაში მიეხმარა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

რებეკამ დაჯდომამდე საგულდაგულოდ გაისწორა კაბა, სკამზე ფრთხილად დაეშვა და ქოლგა თავისა და მეეტლეს შორის კაბის გაშლილი ნაკეცების ქვეშ ამოდო. შემდეგ ქუდი უკან გადაიწია, ბაბმის თეთრი, დაკემსილი ხელთათმანები აიჭიმა და კმაყოფილებით გამოაცხადა:

– აი, ასე უკეთესია! მოგზაურობას დაემსგავსა! ახლა ნამდვილი მგზავრი ვარ, იქ კი, ქვემოთ, თავი ჩვენი კრუხი მეგონა, საქათმეში რომ გამოვამწყვდევთ ხოლმე. იმედია, გრძელი გზა გვექნება გასავლელი.

– ოჰ, გზას მხოლოდ ახლა დავადექით, – გულითადად მიუგო მისტერ კობმა, – ორ საათზე მეტი დავგჭირდება.

– აჰ, მხოლოდ ორი საათი, – ამოიოხრა რებეკამ. – ორის ნახევარი გამოდის; ამასობაში დედა ბიძაშვილ ენთან ჩააღნევს, შინ კი ბავშვები ნასადილევი იქნებიან და ჰანა სუფრის ალაგებასაც მოასწრებს. მსუბუქად წავისაუზმე, რადგან დედამ მითხრა, ცუდი დასაწყისი იქნება, თუ აგურის სახლში მშვიერი გამოცხადდები და დეიდა მირანდას მაშინვე საჭმელზე ზრუნვას აიძულებო... დღეს კარგი პირი უჩანს, არა?

– მართალია, თუმცა ძალიან ჩამოცხა. ქოლგას რატომ არ შლი?

სანამ რამეს იტყოდა, რებეკამ ნახსენებ ნივთს კაბა უკეთესად გადააფარა:

– ოჰ, რას ამბობთ! მცხუნვარე მზეში ქოლგას არასდროს ვშლი. იცით, ვარდისფერი ძალიან ხუნდება და მას მხოლოდ

საკვირაო ლოცვებზე ვატარებ, ისიც ღრუბლიან დღეებში. ზოგჯერ მზე უცებ ამოჩახჩახდება ხოლმე და მაშინ ვცდილობ, რაც შეიძლება სწრაფად დავკეცო. ჩემთვის უძვირფასესი ნივთია, მაგრამ საშინლად მოსაფრთხილებელი.

სწორედ იმნუთას მისტერ ჯერიმია კობის ზანტი გონება ნელ-ნელა იმსჭვალებოდა აზრით, რომ მის გვერდით ჩამომჯდარი უცხო ჩიტუნა ძალიან განსხვავდებოდა იმათგან, დღის განმავლობაში რომ ემგზავრებოდნენ. კაცმა შოლტი ბუდეში ჩადო, ფარიდან ფეხი ჩამოიღო, ქუდი გადაიწია, თუთუნი გზაზე გადააფურთხა და შემდეგი ნაბიჯისთვის მომზადებულმა, პირველად შეათვალიერა გულდასმით თავისი მგზავრი, რომელიც მის მზერას სერიოზულად, ბავშვურად მიამიტურად და მეგობრული ინტერესით შეხვდა.

მოყვითალო-მოყავისფრო ჩითის კაბა გაცრეცილი, თუმცა ზედმინევენით სუფთა იყო და საგულდაგულოდ გახამებული. პატარა, მდგომარე, ნაოჭასხმული საყელოდან აღერილი თხელი ყელი შავგვრემანი და წვრილი ჰქონდა, თავი კი მეტისმეტად პატარა, რომ მუქი თმის სიმძიმისთვის გაეძლო, რომლის სქელი ნაწნავი წელამდე სწვდებოდა. გოგონას იტალიური ჩალის საჩიხიანი თეთრი ქუდი ეხურა, რომელიც საბავშვო ქუდების მოდის უკანასკნელი გამოცხილი უნდა ყოფილიყო ან საჭიროებისამებრ განახლებული მეტისმეტად ძველებური თავსაბურავი. ქუდს ყავისფერი ბაფთის გრეხილი და მაჩვზღარბას შავი და ნარინჯისფე-

რი ეკლესიის მსგავსი რაღაც კონა ამშვენებდა, რომელიც ცალ მხარეს ყურის ზემოთ გადმოკიდებულიყო, უფრო კი აჯაგრულიყო და პატრონს ძალიან უჩვეულო და უცნაურ შესახედაობას აძლევდა. გოგონას სახე უფერული ჰქონდა, მკვეთრად გამოყვანილი ოვალით. რაც შეეხება ნაკვთებს, ჩვეულებრივი რაოდენობის უნდა ჰქონოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისტერ კობის მზერა ისე შორს არ ნასულა, რომ ცხვირამდე, შუბლამდე ან ნიკაპამდე მიელწია, რადგან ის გზად ნამწყდარ თვალებს დაეტყვევებინა. რებეკას თვალები რწმენას ჰგავდა, რომელიც არის „უეჭველობა იმისა, რასაც მოველით და წვდომა უხილავისა“². ნატიფად მოხაზული წარბების ქვემოდან ისინი ორი ვარსკვლავით კიაფობდა და მათი მოცეკვავე სხივები დიდებული სიშავიდან გამოსჭვიოდა. გამოხედვა მორცხვი და მარადიული ცნობისმოყვარეობით იყო აღსავსე, გაცისკროვნებული და ამოუცნობი მტკიცე მზერა კი თითქოს ხილულს მიღმა საგნის, ბუნების, ადამიანის წიაღს სწვდებოდა. რებეკას თვალები ამოუხსნელი იყო. სკოლის მასწავლებელმა და ტემპერანსელმა მღვდელმა სცადეს და ჩაფლავდნენ; ახალგაზრდა მხატვარმა ქალმა, რომელიც ზაფხულში წითელი ბელლის, დანგრეული წისქვილისა და ხიდის ჩანახატების გასაკეთებლად იყო ჩასული, იმით დაასრულა, რომ ად-

² ებრაელთა მიმართ, 11,1.

გილობრივ ღირსშესანიშნაობებზე ხელი ჩაიქნია და მთელი არსებით ბავშვის პორტრეტის ხატვას მიეცა – პატარა, უბრალო სახისა, რომლის გაბრწყინებული თვალებიც ისეთი მეტყველი და აზრიანი იყო, ისეთ უხილავ ძალასა და გამჭრიახობას ასხივებდა, რომ მათ მოელვარე სიღრმეებში არც ცქერით დაიღლებოდა ვინმე და არც იმის წარმოდგენით, რომ მათში საკუთარი ფიქრის ანარეკლს ხედავდა.

მისტერ კობს ასეთი დასკვნა არ გაუკეთებია. იმ საღამოს ცოლთან საუბარში მხოლოდ ის აღნიშნა, რომ გოგონას ყოველი შემოხედვა, მარტივად რომ ითქვას, „არეტიანებდა“.

– ეს ქოლგა მის როსმა, მხატვარმა ლედიმ, მაჩუქა, – თქვა რებეკამ, როდესაც მისტერ კობს ხანგრძლივად შეხედა და კარგად დაიმახსოვრა მისი სახე. – ხომ შეამჩნიეთ ვარდისფერი ორმაგი ფურფუშა, თეთრი წვეტი და სახელური? სპილოს ძვლისაა. ხედავთ, სახელური დაზიანებულია? ფანიმ წოვა და ღრღნა ლოცვაზე, როცა არ ვუყურებდი. მას მერე ფანის მიმართ დამოკიდებულება შემეცვალა.

– ფანი შენი დაა?

– ერთ-ერთი.

– სულ რამდენი ხართ?

– შვიდნი. შვიდი და-ძმის შესახებ ლექსიც არსებობს:

„ელვისებრ გაისმა ექო:

შვიდნი ვართ, ბატონო ჩემო!“

ვისწავლე, რომ სკოლაში წამეკითხა, მაგრამ თანაკლასელები ღვარძლიანები არიან და დამცინეს. ყველაზე უფროსი ჰანაა, მომდევნო მე ვარ, მერე – ჯონი, მერე – ჯენი, მერე – მარკი, მერე – ფანი და მერე – მირა.

– დიდი ოჯახიც ამას ჰქვია!

– მეტისმეტად დიდი, როგორც ყველა ამბობს, – ისეთი მოულოდნელი და სრულიად არაბავშვური პირდაპირობით მიუგო რებეკამ, რომ მისტერ კობს მოუნდა, ჩურჩულით დათანხმებოდა, მერე კი ყბის მარცხენა მხარეს ადრინდელზე მეტი თამბაქო ჩაედო.

– ძალიან საყვარლები არიან, მაგრამ შემანუხებლები და მათი გამოკვებაც ძვირი ჯდება, თვითონაც იცით, – განაგრძო რაკრაკი რებეკამ. – წლებია, მე და ჰანას საღამოობით ბავშვების დაძინებისა და დილაობით მათი ლოგინიდან აყენების მეტი არაფერი გვიკეთებია. თუმცა ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ ეს ამბავი დასრულებულია და როცა ყველანი გავიზრდებით და ფერმის გირავნობაც გადახდილი იქნება, დროს შესანიშნავად გავატარებთ.

– როგორ თუ დასრულებულია? ოჰ, იმას გულისხმობ, რომ მიემგზავრები?

– არა, იმას ვგულისხმობ, რომ ბავშვებთან დაკავშირებით ყველაფერი „მორჩა და გათავდა“; ჩვენი ოჯახი შეესებურება. დედა ასე ამბობს, ის კი დაპირებას ყოველთვის ასრულებს. მირას შემდეგ აღარავინ გაჩენილა, ის კი უკვე

სამი წლისაა. მისი დაბადება მამას გარდაცვალების დღეს დაემთხვა. დეიდა მირანდას უნდოდა, ჩემ ნაცვლად რივერბოროში ჰანა ჩასულიყო, მაგრამ დედა მას ვერ გაუშვებდა; ჰანას საოჯახო საქმეები ჩემზე უკეთ გამოსდის. ნუხელ დედას ვუთხარი, თუ ჩემს არყოფნაში ბავშვები კიდევ შემოგვემატება, ჩემს უკან დასაბრუნებლად ვინმეს გამოგზავნა მოგიწევს-მეთქი, რადგან ჩვილის მოსაველად ორივენი ვართ საჭირო – მეც და ჰანაც, დედა კი საჭმელს აკეთებს და ფერმაში საქმიანობს.

– მაშ, ფერმაში ცხოვრობთ? სად არის? სადმე იმის ახლოს, სადაც დამემგზავრე?

– ახლოს? უჰ, ათასობით მილის მანძილზე იქნება! ტემპერანსიდან მატარებლით ჩამოვედით, მერე ბიძამვილ ენის სახლამდე კიდევ დიდხანს ვიმგზავრეთ და ღამე იქ გავათიეთ. რომ გავიღვიძეთ, ისევ გრძელი მანძილი გავიარეთ მეიპლვუდამდე, სადაც დილიჯანსი იყო. ჩვენი ფერმა ნებისმიერი ადგილიდან შორისაა, თუმცა სკოლა და სამლოცველო ტემპერანსშია – მხოლოდ ორი მილის მანძილზე. ვფიქრობ, აქ, თქვენ გვერდით, ჯდომა სამრეკლოზე ყოფნას არაფრით ჩამოუვარდება. ერთ ბიჭს ვიცნობ, რომელიც ჩვენს სამრეკლოზე აცოცდა. თქვა, იქიდან ხალხი და ძროხები ბუზისოდენები ჩანსო. ადამიანებიდან ჯერ არავინ შეგვხვედრია, ძროხებმა კი ცოტა იმედი გამიცრუეს: ისინი არც ისე პატარებად მეჩვენება, როგორც